

**განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულება, სახელდობრ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №382 განკარგულებით დამტკიცებული „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომლის თანახმადაც 2016 წლის ბოლომდე შემუშავებულ და მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ასოცირების შესახებ შეთანხმების 144-ე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების ძირითად სტანდარტებთან მიახლოების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირ უნდა აისახოს თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპები; შემსყიდველ ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ მოთხოვნები ჩამოაყალიბონ არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების საშუალებით. ამასთან, სავალდებულოა შესყიდვის მინიმალური ვადების გაზრდა, რაც ტენდერში მონაწილეობის მსურველს მისცემს სატენდერო პირობების სრულფასოვნად შეფასებისა და სატენდერო წინადადების ჯეროვნად მომზადების შესაძლებლობას. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თუკი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, გამოყენებული უნდა იქნეს ამ დირექტივებით განსაზღვრული ვადები.

გარდა აღნიშნულისა, კანონპროექტის მიღების განპირობებულია ევროკომისიის დაფინანსებული პროგრამის “Support to EU – Georgia DCFTA and SMEs” (საბიუჯეტო დახმარების მატრიცა) ფარგლებში საქართველოს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების აუცილებლობით.

ხაზგასასმელია, რომ წინამდებარე კანონპროექტი მიზნად არ ისახავს, ასოცირების შესახებ შეთანხმების 144-ე მუხლთან სრულ დაახლოებას, კერძოდ, პირველ ეტაპზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დანერგვა. უნდა აღინიშნოს, რომ 144-ე მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტური საკითხების უმრავლესობა (მე-2–მე-5, მე-7, მე-8, მე-10, მე-14 და მე-15 პუნქტები) კანონით უკვე დანერგილია. რაც შეეხება წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ სხვა, კონკრეტულ პროცედურულ საკითხებს, ხელშეკრულების დადების ძირითადი სტანდარტების დანერგვა საქართველოს ევალეზა დაახლოების II ფაზაში, რომელიც მოიცავს 2017 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდს.

კანონპროექტის მიღების მიზეზს აგრეთვე წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი დღეს არსებული წესი, რომელიც არ შეესაბამება ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედ დაინტერესებული მხარის ინსტიტუტს, ასევე გაუმართლებლად ამკვიდრებს იმაზე მაღალ სტანდარტს, ვიდრე ეს დადგენილია სახელმწიფო

შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით, კერძოდ, კანონის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრება შეუძლია ნებისმიერ პირს, იმისდამიუხედავად, ეხება თუ არა ეს გადაწყვეტილება/ქმედება მას. აღნიშნული მიდგომა, ხშირ შემთხვევაში, იწვევს შესყიდვების პროცედურების გაჭიანურებას და გაუმართლებლად ზრდის დავების რაოდენობას, ვინაიდან საჩივრის ავტორები ვერ ასაბუთებენ საჩივრის იურიდიულ ინტერესს, თუმცა დავის განმხილველ ორგანოს არ აქვს უფლება, უარი უთხრას მათ საჩივრის მიღებაზე.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კანონის 23-ე მუხლი, ფაქტობრივად, უმრავლეს შემთხვევაში, რეალიზდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში არსებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში, რომელში საჩივრის წარდგენაც უფასოა. აღნიშნული მიდგომა ასევე ხელს უწყობს დაუსაბუთებელი საჩივრების წარდგენას, რაც უსაფუძვლოდ იწვევს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების გაჭიანურებას. მაგალითად, 2016 წლის 1 იანვრიდან მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე დავების განხილვის საბჭოში ტენდერში არადაინტერესებული პირების მიერ წარდგენილ იქნა 283 საჩივარი, რაც საჩივრების საერთო რაოდენობის 21%-ს შეადგენს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია:

ა) შეასრულოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის №382 განკარგულებით დამტკიცებული „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმით“ საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულება, რითაც მიიღწევა კანონის საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან მისადაგების სწრაფვა;

ბ) დაიხვეწოს გასაჩივრების წესი, რაც შესაბამისი იქნება, როგორც ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებთან, ასევე სახელმწიფო შესყიდვებში მოქმედ ევროკავშირის დირექტივებთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკასთან, ასევე შემოთავაზებული მექანიზმებით თავიდან იქნეს აცილებული საჩივრების ხელოვნურად წარდგენა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი რამდენიმე მიმართულებად შეიძლება დაიყოს: ა) პრინციპები; ბ) სპეციფიკაციები; გ) ვადები; დ) გასაჩივრების წესი; ე) ტექნიკური საკითხები.

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ასოციირების შეთანხმების 144-ე მუხლს ეხმიანება კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, მე-8 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, მე-9 და მე-10 პუნქტები, რომლებითაც სრულდება პრინციპებთან, სპეციფიკაციებთან და ვადებთან დაკავშირებული ვალდებულებები. სხვა პუნქტები გამომდინარეობს აღნიშნული ცვლილებიდან (კანონის სისტემურობის შესანარჩუნებლად და მის ნორმებს შორის კოლიზიის თავიდან ასაცილებლად), ასევე გასაჩივრების წესის შეცვლიდან და სხვა ტექნიკური საკითხებიდან.

ა) პრინციპები.

თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპების დამკვიდრების მიზნით (ასოციირების შეთანხმების 144-ე მუხლის პირველი პუნქტი) ცვლილება შედის კანონის მე-2 და მე-13 მუხლებში.

შედეგად, დღეს არსებული „სამართლიანი მიდგომის უზრუნველყოფის“ (რომელიც ბუნდოვანია, შეფასებითი კატეგორიაა და არ ექვემდებარება ობიექტურ კონტროლს) ნაცვლად მიზნად დგინდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. რაც შეეხება პროპორციულობის პრინციპს, მისი მიზანია, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა პრეტენდენტისადმი მოთხოვნები დაადგინონ კონკრეტული შესყიდვის მიზნიდან და შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე. მოთხოვნები არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჭიროა, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამგვარი სატენდერო პირობები ხელოვნურად შეზღუდავს კონკურენციას. ტერმინის „სამართლიანობის“ ამოღებასთან დაკავშირებით იცვლება კანონის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტიც, რომლის დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით, სააგენტოს მიერ მასში ჩამოთვლილი მოქმედებების გამოყენება დამოკიდებულია საჩივრის „სამართლიანობის“ დადგენასთან, რაც არასწორია ზემოთ ხსენებული მიზეზების გათვალისწინებით.

ბ) სპეციფიკაციები.

ცვლილებით მკვიდრდება, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვის ობიექტისთვის შესაძლებელია განსაზღვროს ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციები. აღნიშნულის მიზანია, ხელი შეუწყოს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, ვინაიდან, შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების აღწერის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება, განსაზღვრონ მათთვის მისაღწევი სასურველი შედეგი, ხოლო მიმწოდებლებს მეტი თავისუფლება, ბაზარზე არსებული ტექნიკური გადაწყვეტილებების მრავალფეროვნების გამოყენებით, შესთავაზონ შემსყიდველ ორგანიზაციებს საკუთარი წინადადებები, რომლებითაც მიიღწევა განსაზღვრული სასურველი შედეგი (საკითხი გათვალისწინებულია ასოციირების შეთანხმების 144-ე მუხლის მე-6 პუნქტით).

გ) ვადები.

რამდენადაც საქართველოს აქვს ვალდებულება, დანერგოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები¹, ამასთან დღეს მოქმედი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისა და მასში წინადადების წარდგენის ვადა არაგონივრულად მცირეა (3 სამუშაო დღე), დგება საჭიროება, გადაიხედოს კანონით განსაზღვრული ვადები. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზრი ეკარგება ტენდერის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერად და ელექტრონულ ტენდერად დაყოფას. შედეგად, იარსებებს მხოლოდ ერთი ელექტრონული ტენდერი, რომლის გამოცხადების ვადებიც დამოკიდებული იქნება შესყიდვის ღირებულებაზე, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონპროექტის პირველი მუხლის მე-10 პუნქტში (რომლითაც ახლებურად ყალიბდება კანონის 15¹ მუხლი). აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებს, როგორც ეროვნულ (რომლებიც პირდაპირ გამოიხატება კონკრეტული თანხით), ასევე ევროკავშირის მონეტარულ ზღვრებს, რომლებსაც ორ წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს ევროკავშირის უფლებამოსილი ორგანო. შესაბამისად, მოქნილობის უზრუნველსაყოფად და ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, უკვე განსაზღვრული ევროკავშირის მონეტარული ზღვრები აისახება კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში.

¹ ეტაპობრივი დაახლოების შესახებ ვალდებულებას შეიცავს ასოციირების შეთანხმების 146-ე მუხლი და შეთანხმების დანართი XVI. ტენდერის გამოცხადების ვადების გონივრულობასთან დაკავშირებით საუბრობს შეთანხმების 144-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, მიუხედავად გამარტივებული ელექტრონული ტენდერისთვის დადგენილი მინიმალური – 3 სამუშაო დღისა, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 7 დღეს.

შუალედური მონეტარული ზღვრების შემოღება საჭირო გახდა იმდენად, რამდენადაც, ევროკავშირის სახელმწიფო შესყიდვებში მოქმედი პრინციპის თანახმად, რაც უფრო მეტად უახლოვდება შიდასახელმწიფოებრივი შესყიდვის ღირებულება ევროკავშირის მონეტარულ ზღვრებს, მით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების ვადები. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული ვადები მაქსიმალურად მცირეა, რაც გამომდინარეობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკიდან (მაგალითად, ლატვია, რუმინეთი). როგორც წესი, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტენდერის გამოცხადების ვადა არ შეადგენს 7 დღეზე ნაკლებს. ამასთან, სამშენებლო სამუშაოს შესასყიდად გამოცხადებული ტენდერების ვადები აღემატება საქონლისა და მომსახურების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერების ვადებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუკი კანონის მოქმედი რედაქცია გამარტივებული ელექტრონული ტენდერისთვის ვადებად ითვალისწინებდა სამუშაო დღეებს, ცვლილების შემდეგ ეს ვადები იქნება კალენდარული დღეები.

იცვლება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის წესიც. დღეს მოქმედი რედაქციით, შემსყიდველ ორგანიზაციას ეძლევა საშუალება, ტენდერში წინადადებების მიღების დაწყებამდე 1 წუთით ადრე შეცვალოს სატენდერო პირობები, რაც უარყოფითი შედეგის მომტანია პრეტენდენტებისთვის (მათ მოუწევთ დაგეგმილი ბიზნესპროცესის გადაწყობა ან ტენდერში მონაწილეობაზე უარის თქმა) და ასევე აჩენს კორუფციულ რისკებს, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია განზრახ, ერთ პრეტენდენტზე მორგებულად შეცვლის სატენდერო პირობებს, რათა სხვა პრეტენდენტმა ვერ მოასწროს სატენდერო წინადადებების შემუშავება და ვეღარ მიიღონ მონაწილეობა ტენდერში. შედეგად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია შეიტანს ცვლილებებს სატენდერო პირობებში, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა გახანგრძლივდება იმ ვადით, რა ვადაც გასულია ელექტრონული ტენდერის გამოცხადებიდან შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე.

დ) გასაჩივრების წესი.

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცესში მკვიდრდება დაინტერესებული მხარის ინსტიტუტი. შედეგად, პრეტენდენტს შეეძლება გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში, თუ ერთდროულად იარსებებს ორი პირობა: დაირღვევა კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები (I) და შეილახება მისი უფლებები (II). იგივე პრინციპი გავრცელდება სასამართლოში გასაჩივრებისას. ამასთან, სააგენტოსა და შემსყიდველ ორგანიზაციაში სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გასაჩივრებას შეეძლება შესყიდვებში მონაწილეობის ნებისმიერი მსურველი და პრეტენდენტი, ხოლო შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების/ქმედების გასაჩივრებას – მხოლოდ ის პრეტენდენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ შესყიდვისას დაირღვა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები და შეილახა მისი უფლებები.

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში საჩივრის წარდგენისთვის დგინდება საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა. საჩივრის წარდგენის საფასური ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება. საჩივრის წარდგენის საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გასაჩივრებისთვის საჩივრის წარდგენის საფასური არ წესდება, რამდენადაც შესყიდვებში მონაწილეობის ნებისმიერ მსურველს მიეცეს სატენდერო პირობების დაუბრკოლებლად გასაჩივრების საშუალება. აღნიშნული მიდგომა პირობადებულია იმით, რომ სატენდერო პირობების სწორი ფორმულირება მნიშვნელოვან წილად განაპირობებს შემდგომში სატენდერო პროცედურების კანონიერად წარმართვას, რაც საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ, შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების/ქმედებების მიღება აღარ უკავშირდება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველებს და ეხება მხოლოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს. ამდენად, ამ ეტაპზე დაინტერესებული პირის ინსტიტუტის შემოღება და საჩივრის წარდგენის საფასურის დაწესება გამართლებულია და ემსახურება სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ხელოვნურად დაბრკოლების პრევენციას.

ე) ტექნიკური საკითხები.

კანონპროექტი აგრეთვე შეიცავს ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს, რომლებიც ასევე დაკავშირებულია ხსენებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან. მაგალითად, 2015 წლის 1 ივლისიდან კონკურსი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალებაა და გამოიყენება საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისას, ტარდება ღია და გამჭვირვალე გარემოში – სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესაბამისად, კანონის დღეს მოქმედი 10² მუხლი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. იგივე ითქმის კონსოლიდირებულ ტენდერებზეც, რომლების აგრეთვე სისტემის გამოყენებით ტარდება და უნდა ჩაითვალოს ელექტრონულ სახელმწიფო შესყიდვად. ასევე, მაგალითად, კანონის დღეს მოქმედი მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შესყიდვის შეწყვეტას ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია და არც მოქმედებს, ვინაიდან ხელშეკრულების გაფორმებით სრულდება მიმწოდებლის შერჩევის პროცედურები, იწყება სახელშეკრულებო ურთიერთობა და შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების და არა შესყიდვის პროცედურების შეწყვეტა. აქვე უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ მსგავსი ტექნიკურ-პრაქტიკული ცვლილებები შედის კანონის მხოლოდ იმ ნორმებში, რომლებიც ისედაც საჭიროებს ცვლილებას გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შერწყმის გამო. ამასთან, აღნიშნული ტექნიკურ-პრაქტიკული ცვლილებები არ არღვევს კანონის სისტემურობას, არამედ, პირიქით, აუმჯობესებს მას.

კანონის 10² მუხლში უქმდება კონკურსის კავშირი შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ან/და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ტერიტორიის მასალებისა და ნარჩენებისაგან გათავისუფლებასთან, ვინაიდან აღნიშნული, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/24/EU დირექტივის

თანახმად, არ მოიაზრება კონკურსის (design contest) ცნების ქვეშ, ამასთან, კანონის ხსენებულ ჩანაწერს მიღების დღიდან პრაქტიკულად არც უმოქმედია.

კანონპროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 90-ე დღეს, რამდენადაც საჭიროა დიდი მოცულობის, როგორც სამართლებრივი (კანონქვემდებარე აქტების შესაბამისობა ახალ ნორმებთან), ასევე ტექნიკური (სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ადაპტირება, სისტემაში ახალი სერვისების შექმნა) სამუშაოების ჩატარება.

ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების ზევით შესყიდვებთან დაკავშირებული რეგულაციები ამოქმედდება 2019 წლის 1 სექტემბრიდან, როდესაც იწურება ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს საკანონმდებლო დაახლოების II ფაზა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, საჩივრის წარდგენის საფასურის შემოღების შედეგად, პრეტენდენტების შერჩევა-შეფასებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე მომჩივანი ვალდებული იქნება, სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს თანხა, რომლის ოდენობაც იქნება შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა. ამავდროულად, საჩივრის წარდგენის საფასური დაექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება. აღნიშნული თანხების წინასწარ გათვლა შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება მისი მოქმედება. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად, სააგენტოში გასაჩივრებისთვის დგინდება საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა. ამავდროულად, საჩივრის წარდგენის საფასური დაექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

სააგენტოში გასაჩივრებისთვის, გარდა სატენდერო/საკონკურსო განცხადებისა და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის გასაჩივრებისა, დგინდება საჩივრის წარდგენის საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარისა. საჩივრის წარდგენის საფასური ექვემდებარება დაბრუნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივარი არ დაკმაყოფილდება. საჩივრის წარდგენის საფასურის გადახდისა და დაბრუნების წესი დგინდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმებიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.